პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 83 (5113) 1974 წ. 27 აპრილი, შაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

# თათბირი სპარტაკიადისთვის მზადების საკითხებზე

გუშინ თბილისში, ჭადრაკის სასახლეში გაიმართა საქართველოს ნაკრებ გუნდების წევრების, მათი მწვრთნელების, გუნდების უფროსების, კომკავშირული ორგანიზატორების, ექიმების თათბირი სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვის მზადების საკითხებზე. თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ, აგრეთვე, ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტების, სპორტსაზოგადოებათა საბჭოების, რესპუბლიკის სპორტული ფედერაციების, უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლების ხელმძღვანელები.

თათბირი გახსნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ **ფ. მახარაძემ.**

„საქართველოს სსრ სპარტაკიადის ჩატარებისა და 1975 წელს სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადაში რესპუბლიკის სპორტული დელეგაციის მონაწილეობაზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესახებ" ინფორმაციით გამოვიდა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ო. ჩერქეზია.**

კამათში მონაწილეობდნენ: **ზ. მამუჭაძე** (აჭარის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე), **გ. შარაშიძე** (თბილისის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი), **გ. სალარიძე** (ჭიდაობაში რესპუბლიკის უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლის დირექტორი, სპორტის დამსახურებული ოსტატი), **რ. ჩაჩავა** (წყალბურთელთა ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელი, საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი), **ხ. ჯაიანი** (საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტული სამმართველოს უფროსი, სპორტის დამსახურებული ოსტატი, საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე), **ა. მოშიაშვილი** (ევროპის ჩემპიონი მძლეოსნობაში, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი), **ნ. ალექსანდრია** (სსრ კავშირის სამგზის და ევროპის ჩემპიონი ჭადრაკში, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი), **ი. ბოჭორიძე** (საქართველოს პროფსაბჭოს ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილების გამგე, საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე), **ვ. ივონინი** (ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე), **ფ. მახარაძე.**

## [illegible]

[illegible] მსროლელთა საკავშირო [illegible] ხულო შეჯიბრების [illegible] მცირეკალიბრიანი [illegible] სწრაფსროლაში სპორტსმენები ვარჯიშს სამ-სამჯერ ასრულებდნენ. უკრაინის გუნდმა (ი. გუტოვსკი, ლ. მეშალოვი, ა. სემაკინი, ა. სნეჟკო) ბოლო დღეს 2371 ქულა მოაგროვა და სსრ კავშირის რეკორდი 3 ქულით გააუმჯობესა.

პირად ტურნირში შესანიშნავად გამოვიდა ლატვიის გუნდის ლიდერი ა. კუზმინი, რომელმაც 600-დან 597 ქულა მოაგროვა. ეს ბევრად სჯობს ლ. ფალტას (ჩეხოსლოვაკია) მიერ 1969 წელს დამყარებულ ოფიციალურ მსოფლიო რეკორდს.

„გაქცეულ ტახზე" მონადირენიც ცეცხლის ხაზზე სამ-სამჯერ გამოვიდნენ. ოლიმპიურმა ჩემპიონმა ი. ჟელეზნიაკმა (ოდესა) თავისივე მსოფლიო რეკორდს (573 ქულა) ორჯერ გადააჭარბა: პირველ დღეს 574 ქულა მოაგროვა, ბოლო დღეს კი — 575. სამჯერადი ვარჯიშის ჯამში ჟელეზნიაკმა გაიმარჯვა — 1718 ქულა.

ვ. ეჟოვმა (რსფსრ) მოიგო სტანდარტზე (3×40) მცირეკალიბრიანი შაშხანის სროლა. ორი დღის მანძილზე მან 2311 ქულა მოაგროვა 2400-დან.

ნ. სტოლიაროვამ, ნ. კალინინამ და ნ. სიდორენკომ უკრაინის კოლექტივს პნევმატური პისტოლეტის 40 გასროლასა და მცირეკალიბრიანი პისტოლეტის 60 გასროლაში გამარჯვებით ორი გუნდური I ადგილი მოუტანეს.

ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურ კომიტეტში

# დიდმნიშვნელოვან გადაწყვეტილებათა განხორციელებისთვის

საბჭოთა ხალხში პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ახალი აღმავლობა გამოიწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის (1973 წ.) პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიის გადაწყვეტილებებმა. ამ გადაწყვეტილებებით დასახული ამოცანების წარმატებით გადაჭრაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება სოციალისტური შეჯიბრების სწორ ორგანიზაციას, რაც შრომითი დისციპლინისა და შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების განმტკიცების, შრომისნაყოფიერებისთვის ბრძოლაში მასების შემოქმედებითი ინიციატივის ამაღლების უპირველესი საწინდარია.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის (1973 წ.) პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიის გადაწყვეტილებანი, პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ლ. ბრეჟნევის მიერ გამოთქმული დებულებები და დასკვნები მთავარი სახელმძღვანელოა 1974 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულებისთვის მშრომელთა მობილიზების საქმეში, ამ მიზნით გაშლილ ორგანიზატორულ და პოლიტიკურ მუშაობაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისთვის დიდი მუშაობა მართებთ ჩვენს ფიზკულტურულ და სპორტულ ორგანიზაციებს. ამ მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა მიიღო შესაბამისი დადგენილება, რომელშიც აღნიშნულია, რომ რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაციების უპირველეს ამოცანად უნდა ჩაითვალოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის (1973 წ.) პლენუმის მასალების, პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ბრეჟნევის მიერ გამოთქმული დებულებებისა და დასკვნების შესწავლა. ამასთან დაკავშირებით, რესპუბლიკის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტები, სპორტსაზოგადოებათა საბჭოები, უწყებათა ფიზკულტურული ორგანიზაციები ვალდებული არიან განუხრელად იხელმძღვანელონ დეკემბრის (1973 წ.) პლენუმზე ლ. ბრეჟნევის სიტყვაში გამოთქმული დებულებებითა და დასკვნებით, მიიღონ გადამჭრელი ზომები არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისთვის, გააძლიერონ კონტროლი, გაზარდონ მომთხოვნელობა მუშაობის პრაქტიკული შედეგებისთვის, განახორციელონ ქმედითი ღონისძიებანი ფიზიკური კულტურისა და სპორტის გეგმის გადაჭარბებით შესრულებისთვის.

დამტკიცდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის (1973 წ.) პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისთვის დასახულ ღონისძიებათა გეგმა.

ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტებს, სპორტსაზოგადოებათა საბჭოებს, რესპუბლიკის უწყებათა ფიზკულტურულ ორგანიზაციებს დაევალათ დაამუშაონ ღონისძიებანი სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის (1973 წ.) პლენუმის გადაწყვეტილებათა პრაქტიკული განხორციელებისთვის.

## სსრ კავშირის ჩემპიონატი ძალოსნობაში



ა. სენშინი



ვ. ანიკინი



დ. შანიძე

# ზედიზედ მეექვსედ!

ჩვენი გაზეთის მკითხველებმა უკვე იციან თბილისში მიმდინარე ძალოსანთა საკავშირო ჩემპიონატის პირველი შედეგები. მაგრამ გამოქვეყნებული ცნობები ძუნწი იყო. დღეს გვსურს დაწვრილებით გიამბოთ უმაღლესი ტიტულებისთვის ბრძოლაზე და სხვა პერიპეტიებზეც, რომლებიც აგრერიგად აინტერესებთ „რკინის თამაშის" მოყვარულებს.

ცირკის სარბიელზე გამწკრივდა შეჯიბრების 150 მონაწილე — საბჭოთა ქვეყნის სხვადასხვა რესპუბლიკის წარმომადგენლები.

ჩემპიონატის დროშის აღმართვა მიენდო სახელოვან ქართველ ძალოსანს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს დ. შანიძეს.

მონაწილენი სარბიელს ტოვებენ, რათა შემდგომ ასპარეზობა დაიწყონ მჩატეწონოსნებმა.

ყოველივე ეს 24 აპრილს საღამოს მოხდა. მანამდე კი, დღისით, ჩემპიონატის პირველი ჯილდოები დაურიგდათ უმჩატესი წონის ათლეტებს. ბრძოლაში ჩაება 12 ძალოსანი. თავდაპირველად ძნელი იყო ვინმესთვის უპირატესობა მიგვენიჭებინათ. მხოლოდ ერთმა ფავორიტმა გ. პეტროვმა წაიფორხილა: სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ჩემპიონმა სამჯერ ამაოდ სცადა ატაცში საწყისი წონის დაძლევა. ეს იყო ჩემპიონატის პირველი მოულოდნელობა.

დანარჩენი მონაწილენი, რა თქმა უნდა, შესაძლებლობის ფარგლებში „ათვინიერებდნენ" იარაღს.

გეგმაზომიერად გაანაწილა თავისი ძალები ა. ორლოვმა. მან სამივე ცდა გამოიყენა ატაცში, 95 კგ აწევნა და I ადგილიც აიღო. მაგრამ ორჭიდში გამარჯვებისთვის ეს უკმარი გამოდგა. ყველაფერი გადაწყვიტა აკვრამ, სადაც ორლოვი მხოლოდ მეექვსე იყო.



მ. კირჟინოვი

როცა აკვრა დაიწყო, მთავარ მოქმედ პირებად მოგვევლინენ ა. გნატოვი და ა. სენშინი. სულ ცოტა ხნის წინათ გნატოვს სხვებზე ხშირად ასახელებდნენ გამარჯვებულთა შორის: იგი ხომ მსოფლიო რეკორდსმენია. მაგრამ, როცა აჭიმვა შეჯიბრების პროგრამიდან ამოიღეს, გნატოვის შანსებმა მნიშვნელოვნად იკლო. თუმცა, საპრიზო ადგილის პრეტენდენტად იგი მაინც ითვლებოდა. გნატოვი ამ პირველობაშიც საუკეთესო იყო აკვრაში, რამაც მას ბრინჯაოს მედალი მოუტანა ორჭიდში. ვერცხლის მედალი ხვდა ა. ვორონინს, ხოლო სსრ კავშირის ჩემპიონი პირველად გახდა სენშინი. იგი თანაბრად გამოვიდა: II ადგილები დაიკავა ატაცსა და აკვრაში.

ახლა კი დავუბრუნდეთ საღამოს შეჯიბრებას. მჩატე წონაში ბრძოლაში ჩაება 17 ძალოსანი. არცთუ უსაფუძვლოდ ბევრი ფიქრობდა, რომ მთავარი ბრძოლა გაიმართებოდა რ. ბელენკოვსა და ვ. ანიკინს შორის. ბო-

(დასასრული მე-2 გვ.).

# მხოლოდ 5 გუნდი...

ამას წინათ თბილისში გაიმართა რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების პირად-გუნდური პირველობა სპორტულ ტანვარჯიშში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის, თბილისის უნივერსიტეტის, პუშკინის სახელობის პედაგოგიური და ფიზკულტურის ინსტიტუტების, აგრეთვე, ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის წარმომადგენლები. სამწუხაროდ, შეჯიბრებას თავი აარიდეს თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის, გორის, თელავის, ცხინვალის, ბათუმისა და სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტების სპორტსმენებმა.

გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობეს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ტანმოვარჯიშეებმა, რომლებმაც 143 ქულა მოაგროვეს. მომდევნო საპრიზო ადგილები დაიკავეს ფიზკულტურის ინსტიტუტისა (128 ქულა) და უნივერსიტეტის (80) კოლექტივებმა.

პირად პირველობაში სპორტის ოსტატთა პროგრამით მოასპარეზე ქალებში ყველას აჯობა თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტმა თ. ცოცხალაშვილმა (69,3 ქულა), ხოლო II და III ადგილები დაიკავეს პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარმომადგენლებმა, სპორტის ოსტატებმა ც. ჩოხელმა (67,65) და ვ. კაზიევამ (67,15).

ვაჟებში I და II ადგილები დაიკავეს უნივერსიტეტის ტანმოვარჯიშეებმა ნ. ფაჩულიამ (97,00) და ვ. თანდილოვმა (93,35). მესამე იყო კ. მამაცაშვილი (პოლიტექნიკური ინსტიტუტი) — 90,35.

ოსტატობის კანდიდატთა პროგრამით მოასპარეზე ქალებმა, ფიზკულტურის ინსტიტუტის წარმომადგენლებმა ნ. კიკოხიშვილმა და ე. ქურასეკაიამ ქულათა თანაბარი რაოდენობა (69,45) მოაგროვეს და I-II ადგილები გაიყვეს. III ადგილი ხვდა ნ. ლემჩენკოს (პოლიტექნიკური ინსტიტუტი) — 67,9.

ვაჟებში საუკეთესო იყო ლემჩენკოს თანაგუნდელი გ. სიმაშვილი (98,65 ქულა). II ადგილზეა ფიზკულტურის ინსტიტუტის წარმომადგენელი უ. ფურცხვანიძე (96,15), ხოლო III — ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი კ. ჯანელიძე (90,7).

შეჯიბრების შემდეგ დაკომპლექტდა „ბურევესტნიკის" ნაკრები, რომელიც ბაქოში ცენტრალური საბჭოს პირველობაში მიიღებს მონაწილეობას.

ვ. ამირხანოვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის ჩემპიონატი ძალოსნობაში

# ზედიზედ მეექვსედ!

დასასრული

ლო წლებში სწორედ ისინი იბრძვიან ოქროს მედლებისთვის ყველა საკავშირო შეჯიბრებაში. სწორედ მათ ეკავათ პირველი და მეორე სტრიქონები გამარჯვებულთა სიაში და ყველა მესამე ზედმეტი იყო ჩემპიონობისთვის ბრძოლაში. გამონაკლისი არც თბილისის შეჯიბრება გამოდგა. უფრო ხელსაყრელ მდგომარეობაში რიგელი გახლდათ, ვინაიდან იგი მეტოქეზე მსუბუქია და წილისყრითაც ფიცარნაგზე უფრო გვიან გამოდიოდა. ამან განაპირობა მისი ტაქტიკაც: თვალყური ედევნებინა ბელენკოვის გამოსვლებისთვის და მისი შედეგები გაემეორებინა. ასე იყო ატაცში. ბელენკოვმა 102,5 კგ აიტაცა. ანიკინმაც იგივე შედეგი გაიმეორა. შემდეგ ორივემ შეუტია 107,5 კგ-ს და ეს წონაც ორივემ დაძლია. შემდეგ კი ინიციატივა მთლიანად ანიკინის მხარეზე გადავიდა. მან 110 კგ დაძლია და ლიდერიც გახდა. აკვრაში ბელენკოვს მხოლოდ ერთი ცდა ჰქონდა შედეგიანი და ისიც — 135 კგ. ანიკინი 140 კგ-ს მოერია და ჩემპიონიც გახდა.

140 კგ აკრა პ. ბერლეზოვმაც, რომელმაც ამ მოძრაობაში II ადგილი დაიკავა. ორჭიდში ბელენკოვს გაუსწრო ა. ალიოხინმაც, რომელმაც დაარღვია ანიკინ — ბელენკოვის „დუეტი" და ვერცხლის მედალი მოიპოვა.

როცა საღამოს შეჯიბრება დამთავრდა, ანიკინმა სცადა საკავშირო რეკორდის დამყარება აკვრაში. მან დაძლია კიდეც 145,5 კგ, მაგრამ რეკორდსმენი მაინც ვერ გახდა, რადგან ხელმეორედ აწონისას ზედმეტი გრამები აღმოაჩნდა. ბრძოლის მსვლელობაში იგი „გასუქდა", რამაც რეკორდსმენობა დააკარგვინა. საწყენი კია.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ თბილისელი სპორტის მოყვარულები რა მოუთმენლად ელოდნენ თანაქალაქელი დ. შანიძის გამოსვლას, თუმცა, გულახდილად რომ გითხრათ, ჩვენ, სტუმრებს, ეს არც გვიკვირდა. უკვე რამდენიმე წელია ვადევნებთ თვალს დიტოს დიდ შეჯიბრებებში და უნდა გითხრათ, რომ მაყურებლებში იგი ძალიან პოპულარულია. მთავარი მედლები და რეკორდები როდია, დიტო უყვართ მისი ადამიანური თვისებების გამო. იგი გულღია კაცია, კეთილი, მუდამ მეგობრის დამხმარე. ამასთან მხიარული ხასიათი აქვს. თუ მის ამხანაგს ბედი არ სწყალობს, იგი ხელად სიტყვას შეაწევს და ამით მხნეობას მატებს მეგობარს.

რაც შეეხება სპორტულ მიღწევებს, ამ მხრივ ბედი მუდამ არ ანებივრებდა დიტოს, ზოგჯერ ზურგსაც შეაქცევდა ხოლმე. მაგრამ დიტოს ჯილდოების კოლექცია საკმაოდ მდიდარია. ქართველმა ათლეტმა ძალოსნობას ბევრი რამ შემატა.

და აი, შანიძე წარდგა თანამემამულეების, მეგობრებისა და აღმზრდელების წინაშე, იმათ წინაშე, ვინც მას წლების მანძილზე ზრდიდა და გულშემატკივრობდა. შინ უთუოდ მაღალი შედეგი უნდა მოიპოვო და გაიმარჯვო, მაგრამ როგორ გინდა ეს შეძლო ისეთ მეტოქეებთან ბრძოლაში, როგორიც არიან ე. ქარიმოვი, მსოფლიო რეკორდსმენი ი. გოლუბცოვი და კიდევ 15 ნიჭიერი ძალოსანი? ამ თხუთმეტში განსაკუთრებით გამოირჩეოდა ერთი, სახელოვანი ძალოსნის რ. პლიუკფელდერის მოწაფე ნ. კოლესნიკოვი. სწორედ ეს კვარტეტი იყო ფავორიტთა ოთხეული: შანიძე, ქარიმოვი, გოლუბცოვი და კოლესნიკოვი.

ფიცარნაგზე ბრძოლა საკმაოდ საინტერესო გამოდგა, ზედიზედ მოსდიოდათ შეცდომები პრეტენდენტებს. კოლესნიკოვმა 110 კგ აიტაცა და ორჯერ ვერ შეძლო მომდევნო წონის ფიქსირება. გოლუბცოვი კინაღამ შეჯიბრებას გამოეთიშა, როცა ორჯერ ამაოდ სცადა 115 კგ-ის დაძლევა. მაგრამ მესამე ცდაზე ეს წონა ათლეტს დანებდა. უფრო ანგარიშიანად მოქმედებდა ქარიმოვი. მისი შედეგია 117,5 კგ.

შანიძე? ატაცში გამარჯვებისთვის მას აუცილებლად სჭირდებოდა 120 კგ-ის დაძლევა. ერთი ცდა წარუმატებელი გამოდგა. ძალოსანი გადამწყვეტი ცდისთვის ემზადებოდა. მწვრთნელი შ. წერეთელი არწმუნებდა ამ წონას დაძლევო. მთელი დარბაზი სულგანაბული მისჩერებოდა ათლეტსა და ფიცარნაგს. უცბად ტაშმა იქუხა: შტანგა შანიძის გაჭიმულ ხელებზე გაქვავდა.

მაგრამ ზეიმი ჯერ ადრე იყო. აკვრაში შანიძის სამი ცდიდან მხოლოდ ერთი გამოდგა შედეგიანი (147,5 კგ) და მას სხვებზე ადრე მოუწია მაყურებლის როლში გამოსვლა.

დიტო მეტოქეებს ყურადღებით უყურებდა და ორჭიდში 267,5 კგ-ით „განაჩენს" ელოდა. მისი ჩამოტოვება შეეძლოთ გოლუბცოვსა და ქარიმოვს, მაგრამ ამისთვის თითოეულ მათგანს 155 კგ უნდა აეკრა. ბევრს ეცადნენ ერთიცა და მეორეც, მაგრამ შტანგა ვერ დაძლიეს.

ამრიგად, გოლუბცოვს ორჭიდში 265 კგ აღმოაჩნდა და III ადგილი ხვდა. ქარიმოვს ისეთივე შედეგი ჰქონდა, როგორიც შანიძეს, მაგრამ იგი დიტოზე 300 გრამით მძიმე აღმოჩნდა.

აი, ასეთ დაძაბულ და მძიმე ბრძოლაში მოიხვეჭა ქართველმა ძალოსანმა საკავშირო ჩემპიონის მეექვსე ოქროს მედალი. შანიძე პირველად ხომ 1969 წელს გახდა სსრ კავშირის ჩემპიონი და მას შემდეგ აღარ დაუთმია უძლიერესის წოდება. საქართველოს ძალოსნებიდან მან პირველმა მიაღწია ასეთ წარმატებას.

საინტერესოდ მიმდინარეობდა შეჯიბრება მსუბუქ წონაში მ. კირჟინოვსა და პ. კოროლს შორის. შეჯიბრების დანარჩენი მონაწილენი აშკარად ჩამორჩებოდნენ მათ. ამიტომ ბუნებრივია მაყურებლები დიდი ინტერესით მოელოდნენ პრეტენდენტთა ბოლო ცდებს. წარმატებით დაამთავრა ატაცი კოროლმა. იგი შესანიშნავად ასპარეზობდა და საბოლოოდ 132,5 კგ აჩვენა. კირჟინოვმა მხოლოდ ერთი ცდა გამოიყენა და 130 კგ-ს დასჯერდა. სამაგიეროდ, მან მეტოქეს აჯობა აკვრაში, როცა 167,5 კგ აჩვენა. კოროლი მას 2,5 კგ-ით ჩამორჩა.

კირჟინოვმა აანაზღაურა ატაცში დაკარგული 2,5 კგ, თანაც წონით მეტოქეზე მსუბუქი იყო. ამიტომ ჩემპიონის ოქროს მედალი მას ხვდა — 297,5 კგ.

ასეთივე შედეგით კოროლი მეორე აღმოჩნდა. III ადგილზეა ე. დერვაჩოვი, რომელიც გამარჯვებულს 10 კგ-ით ჩამორჩა.

ე. ციციკი,
საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი.
ა. მხეიძე.

● ●

## პრიზიორები

უმჩატესი წონა. ორჭიდი: 1. ა. სენშინი (ვოროშილოვგრადი, „ავანგარდი") — 222,5 (95+127,5), 2. ა. ვორონინი (კემეროვო, „ტრუდი") — 215 (92,5+122,5), 3. ა. გნატოვი (ლვოვი, „ლოკომოტივი") — 212,5 (85+127,5). ატაცი: 1. ა. ორლოვი (ლიუბერცი, „სპარტაკი") — 95, 2. სენშინი—95, 3. ვორონინი—92,5; აკვრა: 1. გნატოვი — 127,5, 2. სენშინი — 127,5, 3. გ. პეტროვი (კუიბიშევი, შეიარაღებული ძალები) — 125.

მჩატე. ორჭიდი: 1. ვ. ანიკინი (რიგა, შეიარაღებული ძალები) — 250 (110+140), 2. ა. ალიოხინი (ხაბაროვსკი, შეიარაღებული ძალები) — 242,5 (105+137,5), 3. რ. ბელენკოვი (მინსკი, „სპარტაკი") — 242,5 (107,5+135). ატაცი: 1. ანიკინი — 110, 2. ო. სულიცკი (ასტრახანი, „ტრუდი") — 107,5, 3. ბელენკოვი — 107,5; აკვრა. 1. ანიკინი — 140, 2. პ. ბერლეზოვი (ვოლგოგრადი, „დინამო") — 140, 3. ალიოხინი — 137,5.

ქვემსუბუქი. ორჭიდი: 1. დ. შანიძე (თბილისი, „განთიადი") — 267,5 (120+147,5), 2. ე. ქარიმოვი (ტაშკენტი, „შრომის რეზერვები") — 267,5 (117,5+150), 3. ი. გოლუბცოვი (დონეცკი, „ავანგარდი") — 265 (115+150). ატაცი: 1. შანიძე — 120, 2. ქარიმოვი — 117,5, 3. გოლუბცოვი — 115; აკვრა: 1. ნ. კოლესნიკოვი (დონის როსტოვი, „ტრუდი") — 150, 2. გოლუბცოვი — 150, 3. ქარიმოვი — 150.

მსუბუქი. ორჭიდი: 1. მ. კირჟინოვი (მოსკოვი, შეიარაღებული ძალები) — 297,5 (130+167,5), 2. პ. კოროლი (ლვოვი, „დინამო") — 297,5 (132+165), 3. ე. დერგაჩოვი (მინსკი, „დინამო") — 287,5 (125+162,5). ატაცი: 1. კოროლი — 132,5, 2. კირჟინოვი — 130, 3. დერგაჩოვი — 125; აკვრა: 1. კირჟინოვი — 167,5, 2. კოროლი — 165, 3. დერგაჩოვი — 162,5.

### მსოფლიო რეკორდი

გუშინ თბილისის ცირკში გრძელდებოდა ძალოსანთა საკავშირო ჩემპიონატი. გამოვლინდნენ პრიზიორები ქვესაშუალო წონაში. გაიმარჯვა ვ. კურენცოვმა (მოსკოვის ოლქი, შეიარაღებული ძალები) — 322,5 კგ (142,5+180). II ადგილზე გავიდა ა. გალკინი (კიევი, შეიარაღებული ძალები) — 317,5 (135+182,5), III — ი. შილკოვი (პერმი, „ტრუდი") — 315 (130+185). გვიან საღამოს დამთავრდა საშუალო წონის ძალოსანთა ასპარეზობა. პირველივე მოძრაობაში მოსკოვის დინამოელმა ვ. რიჟენკოვმა 163 კგ აიტაცა, რაც მსოფლიო რეკორდია.



სურათზე: ცირკის სარბიელი შეჯიბრების დროს.

მ. ზარგარიანის ფოტო.

მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ნახევარფინალური მატჩები

● ●

## სპასკი — კარპოვი 1:2

(3 ყაიმი)

ლენინგრადი, 24 აპრილი. VI პარტიაში კარპოვმა (შავებით) კვლავ კარო-კანის დაცვა გამოიყენა. ამ დებიუტის საშუალებით მან II და IV პარტიებში ნეიტრალიზაცია უყო სპასკის 1. e2—e4 სვლას.

მე-11 სვლამდე დიდოსტატებმა II პარტიის დასაწყისი გაიმეორეს. მერე კარპოვმა სხვა გზა აირჩია და მტკიცე, თუმცა ოდნავ შეზღუდული პოზიცია მიიღო.

შუა თამაშში სპასკიმ ცენტრში პაიკთა გარღვევა განახორციელა. ამით მან შორს შეჭრილი გამსვლელი პაიკი მიიღო, რომლის ირგვლივაც ატყდა ფიცხელი ბრძოლა. შავების მე-40 სვლის შემდეგ პარტია რთულ მდგომარეობაში გადაიდო.

შეწყვეტილ პოზიციას სპეციალისტები კარპოვის სასარგებლოდ აფასებდნენ. თამაშის განახლებისას სპასკიმ მცდარი გეგმა აირჩია. მსუბუქი ფიგურების გაცვლის შემდეგ თამაში ეტლების დაბოლოებაში გადავიდა და მალე სპასკის წინ წასული გამსვლელი პაიკი კარპოვის ნადავლი გახდა. პარტიის ბედი გადაწყვეტილი იყო. 55-ე სვლის შემდეგ სპასკი დანებდა.

— ჩვენ გამარჯვების იმედი არ გვქონდა, თუმცა გადადებული პარტიის გარჩევას თითქმის რვა საათი მოვანდომეთ, — თქვა კარპოვის სეკუნდანტმა, დიდოსტატმა ს. ფურმანმა. — სპასკის კარგად რომ ეთამაშა, შეხვედრა ყაიმით უნდა დამთავრებულიყო.

გთავაზობთ VI პარტიას.

**სპასკი — კარპოვი**

**კარო-კანის დაცვა**

1. e4 c6 2. d4 d5 3. მc3 de 4. მ:e4 კf5 5. მg3 კg6 6. მf3 მd7 7. კd3 e6 8. 0—0 მgf6 9. c4 კd6 10. b3 0—0 11. კb2 ლc7 12. კ:g6 hg 13. ლe2 ეfe8 14. მe4 მ:e4 15. ლ:e4 კe7 16. ეad1 ეad8 17. ეfe1 ლa5 18. a3 ლf5 19. ლe2 g5 20. h3 g4 21. hg ლ:g4 22. d5 cd 23. cd e5 24. d6 კf6 25. მd2 ლ:e2 26. ე:e2 ეc8 27. მe4 კd8 28. g4 f6 29. მფg2 მფf7 30. ეc1 კb6 31. ეec2 ე:c2 32. ე:c2 მფe6 33. a4 a5 34. კa3 ეb8 35. ეc4 კd4 36. f4 g6 37. მg3 ef 38. ე:d4 fg 39. მფ:g3 ეc8 40. ეd3 g5 41. კb2 (ჩაწერილი სვლა) 41. ... b6 42. კd4 ეc6 43. კc3 ეc5 44. მფg2 ეc8 45. მფg3 მe5 46. კ:e5 fe 47. b4 e4 48. ეd4 მფe5 49. ეd1 ab 50. ეb1 ეc3+ 51. მფf2 ეd3 52. d7 ე:d7 53. ე:b4 ეd6 54. მფe3 ეd3+ 55. მფe2 ეa3. სპასკი დანებდა.

## პეტროსიანი — კორჩნოი 1:3

(1 ყაიმი)

ოდესა, 24 აპრილი. V პარტიაში მეტოქეებმა სიცილიური დაცვა გაითამაშეს. სისტემა, რომელიც პეტროსიანმა აირჩია, შავებს თანაბარ პოზიციას ვერ აძლევს. კორჩნოიმ ცენტრი დაიპყრო და მეფის ფრთაზე ეტლის გადაყვანა განიზრახა. იგი იერიშზე ფიქრობდა. პეტროსიანმა დაცვის მიზნით ტაქტიკური თამაში გააჩაღა მეფის ფრთაზე და პაიკიც დათმო. მართალია, ამით მან მეტოქის იერიში ჩაახშო, მაგრამ — დროებით. ენდშპილში კორჩნოიმ ეტლები კოორდინირებულად აამოქმედა და შავ მეფეს შეუტია, კიდევ ორი პაიკი მოიგო და თავად გამსვლელი პაიკი შეიქმნა. 42-ე სვლაზე პარტია გადაიდო პეტროსიანისთვის მძიმე მდგომარეობაში.

• • •

25 აპრილს თამაშის განუახლებლად პეტროსიანმა თავი დამარცხებულად ცნო.

გთავაზობთ V პარტიას.

**კორჩნოი — პეტროსიანი**

**სიცილიური დაცვა**

1. c4 c5 2. მf3 g6 3. d4 cd 4. მ:d4 კg7 5. e4 მf6 6. მc3 მc6 7. კe3 მg4 8. ლ:g4 მ:d4 9. ლd1 მe6 10. ლd2 d6 11. კe2 ლa5 12. ეc1 კd7 13. 0—0 მc5 14. კh6 0—0 15. კ:g7 მფ:g7 16. b3 კc6 17. ეfe1 მe6 18. კg4 ეad8 19. ეe3 მf4 20. g3 h5 21. ლb2 hg 22. მd5+ e5 23. gf ეde8 24. ეg3 კd7 25. ეd1 f6 26. fe ე:e5 27. მc3 ლc5 28. ლd2 f5 29. ლ:d6 ლ:d6 30. ე:d6 კc6 31. f3 მფh6 32. f4 ეee8 33. ef კf3 34. ე:g6+ მფh7 35. ეg5 ეe1+ 36. მფf2 ეh1 37. ეh5+ მფg7 38. მd5 ეa1 39. f6+ მფg6 40. ეg5+ მფf7 41. ეg7+ მფe6 42. ეe7+ მფf5. პეტროსიანი დანებდა.

• • •

ოდესა, 26 აპრილი. მატჩის VI პარტია, რომელიც დღეს უნდა გათამაშებულიყო, კორჩნოის ავადმყოფობის გამო არ შედგა.

## საინტერესოდ დაიწყო

თბილისის ჭადრაკის სასახლეში გუშინწინ სტარტი აიღო საქართველოს ვაჟთა XXXV საჭადრაკო პირველობამ.

ჩემპიონის სახელისთვის ბრძოლაში ჩაებნენ (წილისყრის მიხედვით): ოსტატობის კანდიდატები ზ. ბურჭულაძე, გ. კალატოზიშვილი (ორივე — თბილისი), ლ. ნეურონოვი (ბათუმი), საერთაშორისო ოსტატი რ. ჯინჯიხაშვილი (თბილისი), ოსტატი ა. ტუზოვსკი (სოხუმი), საერთაშორისო დიდოსტატი ე. გუფელდი, ოსტატობის კანდიდატი მ. ჭიპაშვილი, ოსტატი ა. ბუსლაევი (სამივე — თბილისი), ოსტატობის კანდიდატები გ. ბიბილაშვილი (რუსთავი), კ. ჩიგოგიძე, ზ. მიქაძე, ოსტატი ა. ბოკუჩავა (სამივე — თბილისი), ოსტატები ჯ. ბერაძე (წყალტუბო), თ. ლომაია, ოსტატობის კანდიდატი ზ. აზმაიფარაშვილი, ოსტატი ე. უბილავა, ოსტატობის კანდიდატები გ. ზაიჩიკი, ე. მიქაელიანი (ყველა — თბილისი).

**I ტური.** ბურჭულაძე — მიქაელიანი 0:1, კალატოზიშვილი — ზაიჩიკი 0,5:0,5, ჯინჯიხაშვილი — აზმაიფარაშვილი 1:0, ტუზოვსკი — ლომაია 0,5:0,5, გუფელდი — ბერაძე 0,5:0,5, ჭიპაშვილი — ბოკუჩავა 1:0, ბუსლაევი — მიქაძე 0:1. გადაიდო ბიბილაშვილ — ჩიგოგიძის პარტია. არ შედგა ნეურონოვ — უბილავას შეხვედრა.

ფხიზელი თამაშით ბერაძემ (შავები) გაათანაბრა პოზიცია. გუფელდი იძულებული შეიქნა ფიგურები გაეცვალა და ყაიმს შერიგებოდა.

ბუსლაევმა პერსპექტიული თამაში მიიღო. რამდენიმეჯერ პაიკის მოგება შეეძლო, მაგრამ აყოვნებდა, მერე ცაიტნოტში აღმოჩნდა და აჩქარებულ თამაშში უპირატესობა დაკარგა. ინიციატივას მიქაძე დაეუფლა და გაიმარჯვა.

ბრძოლა სხვა შეხვედრებშიც საინტერესო იყო.

• • •

ჭადრაკის სასახლეში დაიწყო საქართველოს მოჭადრაკე ქალთა პირველობის ფინალიც. ტურნირში მონაწილეობენ (წილისყრის მიხედვით): 1. ნ. გურიელი (თბილისი), 2. ლ. ბელოზიოროვა, 3. ოსტატობის კანდიდატი ქ. გაჩეჩილაძე, 4. ნ. იოსელიანი, 5. მ. ვაჩეიშვილი (ყველა — თბილისი), 6. ნ. ხუბულური (ონი), 7. ოსტატობის კანდიდატი ც. კახაბრიშვილი, 8. ოსტატობის კანდიდატი მ. წერეთელი, 9. მ. მამისთვალოვა (სამივე — თბილისი), 10. ნ. ჯანჯღავა (ცხაკაია), 11. ოსტატი ც. კობაიძე, 12. ნ. მანველოვა, 13. ოსტატი თ. ხუგაშვილი, 14. ვ. კუპრაშვილი, 15. საერთაშორისო ოსტატი ა. ჩაიკოვსკაია, 16. ე. ბაშინჯაძე (ყველა — თბილისი), 17. ე. აპრესოვა (გორი), 18. ქ. გვეიძე, 19. ლ. თანდაშვილი, 20. მ. კალანდაძე (სამივე — თბილისი).

**I ტური.** იოსელიანი — აპრესოვა 1:0, ვაჩეიშვილი — ბაშინჯაძე 0:1, ხუბულური — ჩაიკოვსკაია 0:1, კახაბრიშვილი — კუპრაშვილი 1:0, მამისთვალოვა — მანველოვა 1:0, ჯანჯღავა — კობაიძე 0:1. გადაიდო პარტიები: ბელოზიოროვა — თანდაშვილი, გაჩეჩილაძე — გვეიძე, წერეთელი — ხუგაშვილი. გურიელისა და კალანდაძის პარტია არ შედგა.

თ. ნინოშვილი.




# ცენტრალური წრე

3. ივანოვი

## თავი VI

**თვითმფრინავ ტუ-104-ზე, დიზელ-ელექტრომავალ „საქართველოზე“ და იმ ხალხზე, ვინც მათ ვლადივოსტოკ — მოსკოვის ექსპრესამდე მიიყვანეს**

ადამიანის გონება ასეა მოწყობილი — უფერული, უსიცოცხლო დღეები მასში მთლად იშლება, მწარე მოგონებები ცხრება, ხოლო ყველაზე მშვენიერი, ბედნიერი წუთები მით უფრო მშვენიერი, ბედნიერი და ხანგრძლივი გვეჩვენება, რაც უფრო დიდი მანძილი გვაშორებს მათგან.

და ახლა, ამ თექვსმეტწლიანი დისტანციიდან, ის 109 დღე, რომელთაგანაც 101 მოდის 1956 წელზე, ხოლო კიდევ 8 — 1957-ზე, მეჩვენება ერთ უზარმაზარ და მშვენიერ წამად, ურომლისოდაც ჩემი ცხოვრება, რაც უნდა მომხდარიყო მასში მანამდე და მერე, სრული არ იქნებოდა, რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი მოაკლდებოდა.

არადა, იმ 109 დღეში ხომ უთუოდ იქნებოდა მწარე და, უბრალოდ, მოსაწყენი დღეებიც. მაგრამ რა იოლად და სწრაფად წაიშალა ისინი იმ საოცარი მოვლენების ფონზე, რომელთა მონაწილედ და გმირადაც გრძნობდა თავს ყოველი ჩვენგანი — ყველა იმათგანი, ვინც ატლანტის ოკეანეს გადაუფრინა, ფეხი დაადგა მელბურნის ოლიმპიადის მიწაზე და შეიტანა თავისი, თუნდაც პატარა წვლილი ჩვენი სპორტის დიდ გამარჯვებაში. ჩვენ ყველანი იქ ერთი უზარმაზარი მთელის ნაწილები ვიყავით, როცა ყველა ერთმანეთისთვის აგებს პასუხს, როცა ერთი ყველასთვისაა და ყველა ერთისთვის. ამ გრძნობით იყო გამსჭვალული ყოველი ჩვენგანი. იგი ჩვენ არნახულ ძალას გვაძლევდა. მე ვფიქრობ, სწორედ ამ გრძნობამ გახადა ჩვენი გუნდი მოუდრეკელი და დაუმარცხებელი.

მაგრამ იქნებ ტყუილად ვიმეორებ ერთსა და იმავეს: „ჩვენ“, „ჩვენ“, იქნებ ტყუილად ვაწერ ხელს სხვებს მაგივრად და ჩემთვის ნაკლებად კნობილ ადამიანებს ვანიჭებ გრძნობებს, რომლებიც თვითონ მე განვიცადე? არა, დარწმუნებული ვარ, ასე არ არის. თუმცა, გასაგებია, ჩემს განცდებზე ახლო მეგობრებთანაც კი არ მილაპარაკია — ასეთ რაღაცეებზე ხმამაღლა არ ლაპარაკობენ, ასეთი რაღაცეები თითოეულის გულშია დამალული და სიტყვები აქ უადგილო იქნებოდა. არა, მე არავისთან მისაუბრია ჩემს განცდებზე, მაგრამ ვიმეორებ, არ მეშინია დღეს ვიძახო: „ჩვენ“, „ჩვენ“, „ჩვენი გუნდი“. უნდა გენახათ, როგორ ვვარჯიშობდით ყველანი, როგორ ვემზადებოდით სტადიონზე ყოველი გამოსვლისთვის, როგორ ვუცდიდით ცნობებს ყველა სარბიელიდან, სადაც კი ჩვენები გამოდიოდნენ, როგორ ვხვდებოდით ოლიმპიურ სოფელში დაბრუნებულებს, როგორ მიგვქონდა გულთან თითქოს სხვისი სიხარული და წარუმატებლობა! ვინც ყველაფერი ეს გადაიტანა, გამიგებს.

ხოლო ჩემთვის კი 1956 წელს, მელბურნის ოლიმპიური თამაშების წელს, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა — იგი ჩემს ცხოვრებაში მკვეთრი მობრუნების დასაწყისი გახდა.

ეს მობრუნება 20 სექტემბერს დაიწყო ტაშკენტში. უკან დარჩა ქვეყნის ჩემპიონატი და თასი, საერთაშორისო შეხვედრები შინ და საზღვარგარეთ, იღბლიანი და უიღბლო მატჩები. როგორც ყველა დანარჩენი ჩემი ამხანაგი, მე დატვირთული ვიყავი ამ მოვლენებზე ჯერ კიდევ ცოცხალი მოგონებებით და ოლიმპიადის მომავალ მატჩებზე ფიქრებით ვცხოვრობდი. და უცებ, ერთ მშვენიერ დღეს, ყველაფერი ეს მეორე პლანზე გადავიდა. სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო. ყველას გვქონდა და კიდევ გვექნება ჩემპიონატები და თასები, გვქონდა და გვექნება გამარჯვებები და დამარცხებები, და ჩვენი არა მარტო ყოველი დღე, არამედ ყოველი მატჩიც სავსეა დიდი და პატარა გამარჯვებებით თუ დამარცხებებით. მაგრამ ის, რაც 1956 წლის 20 სექტემბერს დაიწყო, თავიდან აღარ მოხდება. და ახლა, როცა გუნებაში ჩემი ცხოვრების ყველა მოვლენას ვიგონებ, სწორედ ამ დღეებს ამოვირჩევდი იმისთვის, რომ ფაუსტივით წამოვიძახო: „შეჩერდი, წამო! შენ ეგზომ მშვენიერი ხარ!“

ავსტრალიაში გაფრენის წინ მთელი საბჭოთა დელეგაცია ტაშკენტში შეიკრიბა.

აქ ჩვენ ვვარჯიშობდით, აკლიმატიზაციას გავდიოდით, აქ ადგენდნენ გუნდების საბოლოო შემადგენლობას სპორტის ყველა სახეობაში.

სწორედ აქ ვეცნობოდით ერთმანეთს.

20 სექტემბერს ტაშკენტის სტადიონზე მოეწყო რაღაც სპორტული დღესასწაულისა და, ამასთან, ოლიმპიელებთან გამოსათხოვარი საღამოს მსგავსი ღონისძიება. დღესასწაული დასასრულს უახლოვდებოდა. მთელი გუნდი ტრიბუნაზე ვიჯექით და არც ისე დიდი ყურადღებით ვადევნებდით თვალს, თუ როგორ ასრულებდნენ გურზებით რაღაც კოლექტიურ ვარჯიშს ჩვენი ტანმოვარჯიშეთა ნაკრების გოგონები. გოგოებმა დაამთავრეს, ხალხმა მათ ტაში დაუკრა, და ტანმოვარჯიშეები მინდვრიდან ჩვენს ტრიბუნაზე ამოცქრიალდნენ. მთელი გუნდი ჩვენსკენ მორბოდა. წინ მოუძღოდათ მსოფლიო ჩემპიონი გალინა შამრაი, ჩვენი მარცხენა გარემარბის ანატოლი ილინის ცოლი. ჩვენს რიგს რომ მოაღწია, იგი ქმარს მიუჯდა გვერდით, დანარჩენებმა კი გზა გააგრძელეს. მასთან მარტო ერთი დარჩა, სულ ახალგაზრდა, ნაწნავებზე თეთრი ბაფთები რომ ეკეთა. ისიც გაიქცეოდა, მაგრამ გალინამ დაუძახა:

— ლიდა, მოდი აქ... ბიჭები გაიცანი...

ბაფთიანმა გოგონამ მორჩილად გამოგვიწოდა თავისი პატარა ხელი ყველას და უხმოდ ჩამოჯდა სკამის კიდეზე. ვიღაცამ მასთან გამოლაპარაკება სცადა, მაგრამ ის მხოლოდ „კი“-ს ან „არა“-ს უპასუხებდა, ეტყობოდა, ძალიან იყო დარცხვენილი. მეც მინდოდა რაღაც მეკითხა, მაგრამ ხმა ვერ ამოვიღე, რადგან მორცხვი ვიყავი. ასე დავშორდი იმ დღეს ჩემს მომავალ ცოლს ლიდა კალინინას. მე დამამახსოვრდა იგი, მას კი მე — ნამდვილად არა. ან როგორ დამიმახსოვრებდა ერთს ოც ბიჭში, თანაც, როცა ყველას ერთნაირი სავარჯიშო კოსტიუმები გვეცვა.

რა და როგორ იქნებოდა შემდეგ, არ ვიცი. მაგრამ მეორე დღეს მე, მიშა ოგონკოვი და კიდევ რომელიღაცა კინოში წავედით. ვხედავ, სალაროსთან გუშინდელი ნაცნობი ბაფთიანი გოგონა დგას, თითქოს ფიქრობს, შევიდე, თუ არაო. მე გული გავიმაგრე და ვუთხარი:

— გამარჯობათ, ავიღოთ ბილეთი?

მას არც „კი“ უთქვამს, არც „არა“. მე ბილეთები ავიღე და მთელი კომპანია შევედით კინოში. უკვე შემდგომ გავიგე, რომ ლიდას ყოყმანის მიზეზი ძალიან პროზაული იყო: თურმე ანგარიშობდა, ბილეთისთვის ფული მეყოფა თუ არა.

ასე იყო თუ ისე, კინოში ერთად ამოვჩნდით. [illegible] ნაცნობი შინ [illegible]. ტანმოვარჯიშეები, ძალოსნები [illegible] კი ცხოვრობდნენ, ჩვენ კი სხვა „მოთამაშე“ სპორტსმენებთან ერთად — სხვაგან. მეორე დღეს კვლავ შევხვდით ერთმანეთს. ისევ გავაცილე ლიდა, ისევ მინდოდა მისთვის პაემანი დამენიშნა, მაგრამ...

მეორე დილას ტუ-104-მა, რომელსაც ოლიმპიელების პირველი პარტია მიჰყავდა, დელისკენ აიღო კურსი. დაიწყო ავსტრალიაში სსრ კავშირის ნაკრები გუნდის გადაყვანა. ტანმოვარჯიშეები მეორე თუ მესამე რეისით მიფრინავდნენ.

ეს ახლა ვართ ჩვეული შორეულ რეისებს. ეს ახლაა ჩვეულებრივი ამბავი საუზმე მოსკოვში და ვახშამი — რიო-დე-ჟანეიროში. ჩვენ კი 1956 წლის შემოდგომაზე მონაწილენი ვიყავით პირველი საბჭოთა რეაქტიული თვითმფრინავის ტუ-104-ის ერთ-ერთი პირველი (შესაძლოა, პირველისაც) საერთაშორისო რეისისა. როცა ამერიკულ თვითმფრინავზე გადასაჯდომად დელის აეროპორტში გავედით, იქ ცნობისმოყვარეთა უზარმაზარი ბრბო დაგვხვდა. თვითმფრინავსაც და ჩვენც ისეთი აღტაცებითა და გაკვირვებით გვიყურებდნენ, როგორც ალბათ დღეს კოსმოსურ ხომალდსა და კოსმონავტებს უყურებენ.

ჩვენ მართლაც გმირებად ვგრძნობდით თავს. რაც გინდათ თქვით და, იმ ქვეყნიდან ვიყავით, სადაც ქმნიდნენ ამ ზღაპრულ ჩიტებს, რომელთა ერთი დანახვაც კი მორწმუნე ინდუსებს ღვთაებრივ თრთოლვას ჰგვრიდა. როცა თვითმფრინავს მოვშორდით და ხალხს შევხედეთ, თითქოს თვითონაც სხვა თვალით დავინახეთ, რა ლამაზი და დიდებული იყო ჩვენი „ტუ“. ყოველივე დანარჩენის — ხალხის, აეროდრომის შენობების, სხვა თვითმფრინავების ფონზე იგი სხვა სამყაროდან დაშვებულ გიგანტს ჰგავდა. თუმცა, ჩვენ ხომ მართლაც სხვა სამყაროს წარგზავნილები ვიყავით, სამყაროსი, რომელიც პლანეტის ხალხთა უმეტესობისთვის საიდუმლოებით მოცული და უცნობი იყო, ხოლო ჩვენთვის — ყველაზე მშვენიერი. და ჩვენ სიამაყეს ვგრძნობდით იმიტომ, რომ აქ, ამ სამყაროს განსახიერება იყო ჩვენი ლაინერი — თავისი დროისა და თავისი ქვეყნის სრულყოფილი ქმნილება.

შემდეგ კი — რანგუნი, სინგაპური, მელბურნი. ხანგრძლივი, ქანცის გამწყვეტი გზა ოთხძრავიანი ამერიკული თვითმფრინავით დს-8. ამ გზის ყოველი მონაკვეთი ათი-თორმეტი საათით იზომება. როგორც იქნა, გამოჩნდა ისიც — მელბურნი, ოლიმპიადის დედაქალაქი, ქალაქი, რომელიც ახლა სამუდამოდაა ჩაწერილი სპორტის ისტორიაში, ქალაქი, სადაც ბრწყინვალე გამარჯვება გველოდა.

... გავა თექვსმეტი დღე და ჩვენ უკანვე დავადგებით გზას. მელბურნის პორტში დიზელ-ელექტრომავალი „საქართველო“ და ათასობით გამცილებელი დაგველოდებიან. გამცილებლები ჩვენს შესანიშნავ ხომალდს ისეთივე უხმო აღტაცებით შეხედავენ, როგორც ინდუსები ტუ-104-ს უყურებდნენ. ოღონდ ჩვენ, „საქართველოს“ მგზავრები, აღარ ვიქნებით მათთვის რაღაც უსახო დანართი ლამაზი ხომალდისა. ისინი საბჭოთა სპორტსმენებში დაინახავენ თავიანთს ახალ მეგობრებს და ამავე დროს იმ ხალხს, ვის ოსტატობას, ვაჟკაცობას და სპორტულ გმირობასაც ტაშს უკრავდნენ ამ თექვსმეტი დღის განმავლობაში.

მაგრამ ახლა მე წინ გავიქეცი. მაშინ კი ჩვენ მელბურნის აეროპორტში დავეშვით და მყისვე მოვექეცით რეპორტიორების, ფოტოგრაფების, უბრალო ცნობისმოყვარეთა გარემოცვაში. მაშინვე გავიგონეთ რუსული ლაპარაკიც. აეროდრომზე მოსულთა შორის იყო უამრავი რუსი ემიგრანტი, რომლებიც თავიანთი მამების სამშობლოდან შორს დაიბადნენ და არასდროს უნახავთ, ასე ვთქვათ, ნამდვილი რუსები, საბჭოთა რუსები. ამ ადამიანების თვალებში წაიკითხავდით არა მარტო ცნობისმოყვარეობას, არამედ ნამდვილ მხარდაჭერასაც. ჩვენ მაშინვე მივხვდით, რომ მათი სახით ყველაზე ერთგული გულშემატკივრები გვეყოლებოდა. აქავე, აეროპორტში, მერეც — სტადიონებზე, ოლიმპიური სოფლის შესასვლელთან, ყველგან, სადაც უნდა გამოვჩენილიყავით, ისინი გვპოულობდნენ, გარს შემოგვეხვეოდნენ და გვეკითხებოდნენ, გვეკითხებოდნენ, გვეკითხებოდნენ... ისინი [illegible] იჭერდნენ ჩვენს ყოველ სიტყვას რუსეთზე, რომ მყისვე მიხვდებოდით: ვინც უნდა იყვნენ — მდიდრები, თუ ღარიბები, როგორი ცხოვრებაც უნდა ჰქონდეთ — იღბლიანი თუ უიღბლო, ისინი არ ივიწყებენ თავიანთ შორეულ სამშობლოს. სამშობლოს სევდა განურჩევლად ყველას გულს უღრღნის.

(გაგრძელება იქნება).

გაგრძელება. იხ. „ლელო“ №№ 42, 45, 46, 47, 56, 57, 60, 61, 64, 66, 70, 71, 75, 82.

**ფეხბურთი**

# ევროპის ტურნირები

24 აპრილს გაიმართა ევროპის საკლუბო გუნდების განმეორებითი ნახევარფინალური მატჩები.

### ჩემპიონთა თასი

**„ატლეტიკო“ (მადრიდი, ესპანეთი)** — „სელტიკი“ (გლაზგო, შოტლანდია) 2:0 (**პირველი მატჩი** — 0:0).

ამ გუნდების პირველი შეხვედრის ამბავი კარგადაა ცნობილი: ესპანელმა ფეხბურთელებმა გლაზგოს სტადიონზე წესრიგის დარღვევისთვის მკაცრი სასჯელი მიიღეს. მადრიდელთა შემადგენლობას აკლდა 6 დისკვალიფიცირებული მოთამაშე: არაია, დიასი, კიკე, ოვეჯერო, ალბერტო და მელო.

პირველი ტაიმი მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა, მაგრამ ანგარიში არ გახსნილა. 76-ე წუთზე „ატლეტიკოს“ ცენტრალურმა თავდამსხმელმა გარატემ პირველად აიღო სტუმართა კარი, 85-ე წუთზე კი ირურეტა — გარატე — ადელარდოს კომბინაცია მეორე გოლით დაგვირგვინდა.

მადრიდელთა შორის საუკეთესონი იყვნენ: ცენტრალური მცველი, არგენტინელი ერედია, მცველი კაპონი, ნახევარმცველები ეუსებიო და ლუისი, თავდამსხმელები ადელარდო და გარატე.

მატჩმა უდიდესი ინტერესი გამოიწვია — „მანსანარესის“ სტადიონის ტრიბუნებზე ტევა არ იყო.

**„ბაიერნი“ (მიუნჰენი, გფრ)** — „უიპეშტ დოჟა“ (ბუდაპეშტი, უნგრეთი) 3:0 (1:1).

### თასების მფლობელთა თასი

**„მაგდებურგი“ (გდრ)** — „სპორტინგი“ (ლისაბონი, პორტუგალია) 2:1 (1:1).

ფრედ ნათამაშევი პირველი ნახევარფინალური მატჩის შემდეგ გერმანელებმა შინ ძლიერად ითამაშეს და გაიმარჯვეს. სპეციალისტებს ეს შედეგი ევროპის სამივე ტურნირის მთავარ სენსაციად მიაჩნიათ.

„ბორუსია“ (მენჰენგლადბახი, გფრ) — **„მილანი“ (იტალია)** 1:0 (0:2).

### უეფა-ს თასი

„შტუტგარტი“ (გფრ) — **„ფეიენოორდი“ (როტერდამი, ჰოლანდია)** 1:0 (1:2).

**„ტოტენჰემ ჰოტსპური“ (ლონდონი, ინგლისი)** — „ლოკომოტივი“ (ლაიპციგი) 2:0 (2:1).

### ფინალების დღეები

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების ფინალური მატჩი 15 მაისს გაიმართება ბრიუსელში. ერთმანეთს შეხვდებიან მიუნჰენის „ბაიერნი“ (გფრ) და მადრიდის „ატლეტიკო“ (ესპანეთი).

ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების ფინალურ მატჩში (8 მაისს) როტერდამში ითამაშებენ „მაგდებურგი“ (გდრ) და „მილანი“ (იტალია).

უეფა-ს თასის გათამაშების ფინალური სტადია ორი მატჩისგან შედგება. ეს შეხვედრები 22 და 29 მაისს ჩატარდება. საპატიო პრიზისთვის იბრძოლებენ ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპური“ (ინგლისი) და როტერდამის „ფეიენოორდი“ (ჰოლანდია).

# ნაკრებში 20 კაცია

ინგლისის ნაკრების მწვრთნელმა სერ ალფ რამსეიმ საბოლოოდ დაადგინა თავისი გუნდის შემადგენლობა უახლოესი შეხვედრებისთვის. ჯერ ამ მატჩების თარიღებზე და ჩატარების ადგილებზე მოგახსენებთ. მაისის შუა რიცხვებში ინგლისელები ბრიტანეთის ჩემპიონატის სამ მატჩს გამართავენ: 11 მაისს კარდიფში შეხვდებიან უელსის ნაკრებს, 15 მაისს ლონდონში „უემბლის“ სტადიონზე მიიღებენ ირლანდიის გუნდს, ხოლო 18 მაისს გლაზგოს „ჰემპდენ პარკის“ მინდორზე შოტლანდიელებთან ითამაშებენ. 22 მაისს ისინი „უემბლის“ სტადიონზე საერთაშორისო ამხანაგურ შეხვედრას გამართავენ არგენტინის ფეხბურთელებთან. შემდეგ დაიწყება ინგლისელთა საზაფხულო ტურნე. 28 მაისს ისინი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებს ეთამაშებიან, 1 ივნისს — ბულგარეთის ფეხბურთელებს, ხოლო 5 ივნისს — იუგოსლავიის ეროვნულ გუნდს.

20-კაციანი გუნდის შემადგენლობა ასეთია: პ. შილტონი („ლესტერ სიტი“), რ. კლემენსი („ლივერპული“), ნ. ჰანტერი („ლიდს იუნაიტედი“), ე. ჰიუზი („ლივერპული“), რ. მაკფარლანდი („დერბი ქაუნთი“), პ. მედლი („ლიდს იუნაიტედი“), კ. ტოდი („დერბი ქაუნთი“), ს. ბაულზი („ქუინზ პარკ რეინჯერსი“), ა. ბოლი („არსენალი“), კ. ბელი („მანჩესტერ სიტი“), მ. პიტერსი („ტოტენჰემ ჰოტსპური“), მ. პეჯიჩი („სტოკ სიტი“), ტ. ბრუკინგი („ვესტ ჰემ იუნაიტედი“), მ. ჩენონი („საუთჰემპტონი“), მ. დობსონი („ბერნლი“), კ. კიგანი („ლივერპული“), მ. მაკდონალდი („ნიუკასლ იუნაიტედი“), დ. მაკკენზი („ნოტინგემ ფორესტი“), დ. უოთსონი („სანდერლენდი“), ფ. უორთინგტონი („ლესტერ სიტი“).

ნაკრები უმეტესად ახალგაზრდა ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული. 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონებიდან გუნდში მხოლოდ ალან ბოლი და მარტინ პიტერსი არიან. მიმომხილველთა დიდი გაკვირვება გამოიწვია გუნდში „ლიდსის“ თავდამსხმელის ალან კლარკის არყოფნამ. კლარკთან ერთად რამსეიმ ნაკრებიდან გამოიყვანა ისეთი ცნობილი ფეხბურთელებიც, როგორიც არიან მარტინ ჩივერსი, პიტერ სტორი, პიტერ ოსგუდი...

(საქ. ინფ.).

# ვალკარეჯის 50 მატჩი

როგორც იტალიელი მიმომხილველები იუწყებიან, ფ. ვალკარეჯის ხელმძღვანელობით ამ ქვეყნის ნაკრებს 50 მატჩი აქვს ჩატარებული ჩინებული შედეგით: 27 გამარჯვება, 18 ფრე და 5 წაგება. ვალკარეჯი გუნდს 1967 წლიდან წვრთნის.




# მორიგი ტირაჟების შედეგები

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „სპორტლოტოს“ და „სპორტლოტო-2“-ის მორიგი ტირაჟებისა, რომლებიც 20 აპრილს მოეწყო მოსკოვში.

**„სპორტლოტო“:** ექვსი სახეობა გამოიცნო ერთმა კაცმა, რომელიც 5000 მანეთს მიიღებს. 5 ნომრის გამოცნობისთვის მოგება ასევე 5000 მანეთია (84 ბილეთი), ოთხისთვის — 76 მანეთი (7783), სამისთვის — 3 მანეთი (167024).

**„სპორტლოტო-2“.** ექვსი ნომერი ვერავინ გამოიცნო. ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება 3082 მანეთია (46 ბილეთი), ოთხისთვის — 69 (2552), სამისთვის — 3 მანეთი (50707).

მოგებული თანხა გაიცემა ცენტრალურ შემნახველ სალაროებში 1-დან 30 მაისის ჩათვლით.

შემდეგი ტირაჟები 30 აპრილს მოეწყობა მოსკოვში.




# ფინიშზე ბრძოლა გამწვავდა

ლენინგრადი, 25 აპრილი. უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატის მონაწილენი გაფთრებით იბრძვიან ფინიშზე. მაგალითად, გუშინ ოთხი შეხვედრა დამთავრდა 2 ქულისა და ნაკლები სხვაობით. გამარჯვებულის გამოსავლენად ორჯერ საჭირო გახდა დამატებითი ტაიმის დანიშვნა.

ოქროს მედლების ძირითად პრეტენდენტთა — ლენინგრადისა და მოსკოვის ოლქის სპარტაკელთა დუელის პირველი ნახევარი ნევისპირელებმა მოიგეს — 35:34. მატჩის ძირითადი დრო ფრედ დამთავრდა — 63:63. მხოლოდ დამატებითს დროში მიაღწიეს წარმატებას ლენინგრადელებმა, ისიც 2 ქულით — 71:69.

დამატებითმა ტაიმმა გამოავლინა უძლიერესი კიევის „დინამოს" და ვილნიუსის „კიბირკშტისის" შეხვედრაშიც. უკრაინელები პირველი ნახევრის შემდეგ წინ იყვნენ ქულით — 40:39. ძირითადი დრო დამთავრდა ფრედ — 74:74. დამატებითს ხუთ წუთში „დინამომ" იმარჯვა (82:81) და ქულაც აილო.

დაძაბული იყო აუტსაიდერის, მოსკოვის „სპარტაკის" შეხვედრა მოსკოვის „დინამოსთან". „დინამომ" დიდი გაჭირვებით გაიმარჯვა — 51:50 (29-29). ალმა-ათის „უნივერსიტეტმა" პირველი ტაიმი მოუგო ლენინგრადის „ბურევესტნიკს" — 36:33, შემდეგ კი დათმო ინიციატივა და დამარცხდა — 71:73.

დღეს სენსაციური შედეგით აღინიშნა სამი შეხვედრა: მოსკოვის დინამოელებმა 20 ქულით მოუგეს მოსკოვის ოლქის სპარტაკელებს — 74:54, ხოლო აუტსაიდერებმა — ფრუნზეს „სტროიტელმა" და მოსკოვის „სერპ ი მოლოტმა" შესაბამისად დაამარცხეს ვილნიუსის „კიბირკშტისი" — 75:63 (48:30) და კიევის „დინამო" — 86:76 (45:34).

გთავაზობთ დანარჩენ შეხვედრათა შედეგებს: ტტტ — „სერპ ი მოლოტი" 82:56 (40:24), „ურალმაში" — „სტროიტელი" 78:57 (38:35), „ურალმაში" — „ბურევესტნიკი" 80:55 (33:24), „სპარტაკი" (ლენინგრადი) — „სპარტაკი" (მოსკოვი) 78:59 (46:26), ტტტ — „უნივერსიტეტი" 90:48 (46:26).

გათამაშების ცხრილი 26 აპრილისთვის, 30 თამაშის შემდეგ ასეთია:

| | ქ. |
|---|---|
| „სპარტაკი" (ლენინგრადი) | 25 |
| „ურალმაში" (სვერდლოვსკი) | 23 |
| ტტტ (რიგა) | 22 |
| „სპარტაკი" (მოსკ. ოლქი) | 21 |
| „დინამო" (კიევი) | 20 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 19 |
| „უნივერსიტეტი" (ალმა-ათა) | 12 |
| „კიბირკშტისი" (ვილნიუსი) | 11 |
| „ბურევესტნიკი" (ლენინგრადი) | 8 |
| „სტროიტელი" (ფრუნზე) | 7 |
| „სერპ ი მოლოტი" (მოსკოვი) | 6 |
| „სპარტაკი" (მოსკოვი) | 5 |

## ღევისის თასზე

**ვარშავა.** პოლონეთის ჩოგბურთელთა ნაკრებმა ანგარიშით 3:2 სძლია შვეციის ეროვნულ გუნდს.

**ბრიუსელი.** ბელგიელმა ჩოგბურთელებმა იოლად დაამარცხეს საბერძნეთის ნაკრები — 5:0.

**ჰელსინკი.** ფინეთის გუნდმა „მშრალი" ანგარიშით აჯობა თურქეთის წარმომადგენლებს — 5:0.

**ოსლო.** ნორვეგიელებმა ანგარიშით 4:1 დაამარცხეს ირანის ჩოგბურთელები.

**მონტე-კარლო.** აქ გამართულ მატჩში მონაკოს ნაკრებმა მარცხის სიმწარე იწვნია დანიელებთან — 2:3.

# ხუთი „ჟიგული" და ერთი „ზაპოროჟეცი"

თბილისი. სტალინის სახელობის სანაპირო. რესტორან „არაგვის" მისადგომები. 7 საათი. ნაადრევი მგზავრები ცნობისმოყვარეობით აკვირდებიან რესტორნის პირდაპირ მდგომ ხუთ „ჟიგულის", ერთ „ზაპოროჟეცსა" და მათთან მოფუსფუსე ხალხს. მანქანებს გრძელი გზა უდევთ წინ. მარშრუტი ყველას აწერია: თბილისი — ბაქო — კრასნოვოდსკი — აშხაბადი — მარი — ბაირამ-ალი — ბუხარა — სამარყანდი — ურგენჩი — ხივა და უკან.

ეს ტურისტული გადარბენა, რომელშიც „სპარტაკის", აგრეთვე, ტურიზმისა და მოგზაურობის რესპუბლიკური საბჭოს ავტო-მოტოსექციის წევრები (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თანამშრომლები), სულ 18 კაცი მონაწილეობს, გუშინ დაიწყო და 15 მაისამდე გასტანს. მოგზაურობა ეძღვნება სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის შექმნის 250 წლისთავს და საბჭოთა ხალხების მეგობრობას.

— ვინც ჩვენი განზრახვა გაიგო, ყველამ შემლილებად მოგვნათლა, თქვენც და თქვენი მანქანებიც სადმე შუა აზიის უდაბნოში დარჩებითო, — ღიმილით გვითხრა ავტოტურისტული გადარბენის ხელმძღვანელმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის ბირთვული ცენტრის უფროსმა მეცნიერ-მუშაკმა, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატმა რ. სარიჩევმა. — მართალია, ეს მარშრუტი უმაღლესი სირთულის, V კატეგორიისაა, მაგრამ მთავარი ინტერესი ხომ სწორედ დაბრკოლებათა გადალახვაშია.

სარიჩევი მოუსვენარი, ტურიზმის დიდად მოყვარული ახალგაზრდა კაცია. იგი ბევრი ავტოტურისტული გადარბენის თავკაცი ყოფილა, მაგრამ ასეთ დიდ გზას პირველად ადგას. სხვათა შორის, ჩვენი რესპუბლიკიდან ეს მარშრუტი ჯერ არავის გაუვლია.

გადარბენის მონაწილენი გზად, მოძმე რესპუბლიკების ქალაქებში, ლექციებსა და მოხსენებებსაც წაიკითხავენ.

„ზურგის ქარი" ვუსურვოთ ჩვენს ავტოტურისტებს.

**ა. გურასაშვილი.**

* * *



**სურათზე:** თბილისელი ავტოტურისტები სტარტის წინ.

ავტორის ფოტო.

## ჩემპიონატები, თასები, ტურნირები

### გფრ

XXX ტურში „შტუტგარტმა" შინ ფრედ ითამაშა მიუნჰენის „ბაიერნთან" — 1:1. სტუმრად ასევე ქულა დაკარგა მისმა მეტოქემ ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლაში — მენჰენგლადბახის „ბორუსიამ", რომელმაც ფრედ ითამაშა „ბოხუმთან" — 1:1.

ლიდერთა სამეული:

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „ბაიერნი" | 30 | 85:48 | 43 |
| „ბორუსია" | 30 | 77:49 | 42 |
| „ფორტუნა" (დიუსელდორფი) | 30 | 57:41 | 37 |

### იტალია

ჩემპიონატის ფინიშამდე 4 ტური დარჩა. ლიდერმა — რომის „ლაციომ" მილანში ქულა დაკარგა „მილანთან" (0:0), თუმცა, ზოგიერთი კომენტატორის აზრით, ბედი მასპინძლებს უფრო ნაკლებ სწყალობდათ.

შარშანდელმა ჩემპიონმა — ტურინის „იუვენტუსმა" შინ მოუგო ბოლო ადგილზე მყოფ გენუის „სამპდორიას" — 2:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ლაციო" | 26 | 40:19 | 38 |
| „იუვენტუსი" | 26 | 40:22 | 35 |
| „ფიორენტინა" | 26 | 30:21 | 31 |

### ინგლისი

41 ტურის შემდეგ ლიდერთა სამეული ასეთია:

| | | | |
|---|---|---|---|
| „ლიდს იუნაიტედი" | 41 | 65:31 | 60 |
| „ლივერპული" | 39 | 49:27 | 55 |
| „იფსვიჩ თაუნი" | 41 | 67:57 | 47 |

### პორტუგალია

მართალია, ჩასატარებელი მხოლოდ 3 ტური დარჩა, მაგრამ დუელი ორ მთავარ მეტოქეს — შარშანდელ ჩემპიონს „ბენფიკას" და თასის მფლობელ „სპორტინგს" (ორივე — ლისაბონი) შორის კვლავ გრძელდება. ორი კვირის წინათ, როცა „ბენფიკა" „სპორტინგს" 5 ქულით ჩამორჩებოდა, მათი შეხვედრა შარშანდელი ჩემპიონის გამარჯვებით (5:3) დამთავრდა და „ბენფიკის" გულშემატკივრებმა შვება იგრძნეს: დარჩენილ ტურებში სხვაობის შემცირების შანსი გაიზარდა.

XXVII ტურში „ბენფიკამ" შინ მოუგო (5:0) კოიმბრის „აკადემიკას", ხოლო „სპორტინგმა" ქულა დაკარგა ავეიროში ადგილობრივ „ბეირა მართან" (იგი ბოლო ადგილზეა!) — 1:1.

სეტუბალის „ვიტორიამ" სტუმრად სძლია „მონტიჟუს" — 3:0.

საუკეთესო სნაიპერია არგენტინის ნაკრების თავდამსხმელი იასალდე (ლისაბონის „სპორტინგი") — 41 გოლი.

| | | | |
|---|---|---|---|
| „სპორტინგი" | 27 | 85:20 | 43 |
| „ბენფიკა" | 27 | 55:20 | 42 |
| „ვიტორია" | 27 | 63:18 | 41 |
| „პორტუ" | 27 | 39:18 | 40 |

### ჰოლანდია

„აიაქსის" ჩემპიონობა შეუძლებელია! — ასეთი აზრისა არიან ფეხბურთის კომენტატორები ჩემპიონატის ბოლო ტურების შეფასების დროს. მართლაც, ამსტერდამის „აიაქსისთვის" გამარჯვება სანატრელად იქცა. XXXI ტურში ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელმა და ქვეყნის ჩემპიონმა შინ ფრედ ითამაშა როტერდამის „სპარტასთან" — 0:0.

როტერდამის „ფეიენოორდმა" თავის მინდორზე მოუგო „ამსტერდამს" — 5:0. გოლები გაიტანეს: დე იონგმა, შონმეკერმა, შნაიდერმა, ვერიმ და დანიელმა კრისტენსენმა. კომენტატორები აღნიშნავენ, რომ მაყურებელი დაატყვო „ფეიენოორდის" ნახევარდაცვის (რომელიც ასევე ჰოლანდიის ნაკრების ნახევარდაცვაა) დე იონგ — იანსენ — ვან ჰანეგემის ბრწყინვალე თამაშმა.

თბილისელთათვის კარგად ცნობილმა ენსხედეს „ტვენტემ" შინ სძლია დევენტერის „გოუ ეჰედს" (2:1) და ლიდერს მხოლოდ ბურთების უარესი ბალანსის გამო ჩამორჩება.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ფეიენოორდი" | 31 | 92:25 | 52 |
| „ტვენტე" | 31 | 56:17 | 52 |
| „აიაქსი" | 31 | 84:27 | 48 |

### საფრანგეთი

„სენტ-ეტიენმა" შინ სძლია ლიონის „ოლიმპიკს" — 2:0. შარშანდელმა ჩემპიონმა „ნანტმა" ასევე შინ მოუგო „ლანს" — 4:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „სენტ-ეტიენი" | 33 | 59:35 | 54 |
| „ნანტი" | 32 | 53:30 | 51 |
| „ანჟერი" | 33 | 66:50 | 47 |

### ბელგია

ბრიუსელის „ანდერლეხტმა" სტუმრად წააგო „ანტვერპენთან" — 1:2.

ფინიშამდე მხოლოდ 2 ტური დარჩა.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ანდერლეხტი" | 28 | 66:35 | 38 |
| „რასინგ ვიტი" (მოლენბეკი) | 28 | 46:24 | 36 |
| „ანტვერპენი" | 28 | 43:29 | 36 |
| „სტანდარდი" (ლიეჟი) | 28 | 38:29 | 30 |

## ევროპის ფეხბურთის [illegible]

### შვეიცარია

„სიონმა" შინ სძლია „ციურიხს" — 2:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ციურიხი" | 19 | 39:15 | 31 |
| „ნევშატელ ქსამაქსი" | 18 | 34:23 | 23 |
| „გრასჰოპერსი" (ციურიხი) | 18 | 30:19 | 23 |

### პოლონეთი

ხოჟუვის „რუხმა" თავის სტადიონზე მოუგო ბიტომის „შომბიერკის" — 1:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „რუხი" | 21 | 43:12 | 33 |
| „ლეგია" (ვარშავა) | 22 | 30:17 | 27 |
| „ვისლა" (კრაკოვი) | 22 | 27:17 | 27 |

### იუგოსლავია

ბელგრადის „ცრვენა ზვეზდამ" შინ მოუგო (4:0) ნიშის „რადნიჩკის" და ლიდერობა დაისაკუთრა.

ფინიშამდე 2 ტური დარჩა. ჩემპიონობის მოპოვების შანსები სამ გუნდს აქვს.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ცრვენა ზვეზდა" | 28 | 61:28 | 35 |
| „ჰაიდუკი" (სპლიტი) | 28 | 41:24 | 35 |
| „ველეჟი" (მოსტარი) | 28 | 45:32 | 35 |
| „ჩელიკი" (ზენიცა) | 28 | 25:19 | 31 |

### ჩეხოსლოვაკია

22 ტურის შემდეგ ლიდერთა სამეული ასეთია:

| | | | |
|---|---|---|---|
| „ბანიკი" (ოსტრავა) | 22 | 33:29 | 29 |
| „დუკლა" (პრაღა) | 22 | 33:23 | 28 |
| „სლოვანი" (ბრატის.) | 22 | 40:28 | 27 |

## საკუთარი ინფორმაცია

# ს. პავლოვის ვიზიტი ირანში

**თეირანი, 23 აპრილი.** (საკდესი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე ს. პავლოვი, რომელიც ირანში იმყოფება ამ ქვეყნის ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარის, პრინც გოლიამ რეზა ფეჰლევის მოწვევით, გაეცნო თეირანის სპორტულ ნაგებობებს.

ს. პავლოვი მიიღო ირანის პრემიერ-მინისტრმა ა. ა. ხოვეიდამ. შედგა საუბარი, რომლის დროსაც შეეხნენ საბჭოთა კავშირსა და ირანს შორის სპორტული კავშირის საკითხებს.

**თეირანი, 24 აპრილი.** (საკდესი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე ს. პავლოვი, რომელიც ვიზიტით არის აქ ირანის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის, პრინც გოლიამ რეზა ფეჰლევის მოწვევით, მიიღო ირანის შაჰმა. საუბრის დროს განიხილეს ორ ქვეყანას შორის სპორტული ურთიერთობის განვითარების საკითხები. ირანის სახელმწიფოს მეთაურმა დადებითად შეაფასა ირანში მყოფი საბჭოთა სპორტული სპეციალისტების მუშაობა.

— ირანი, — ხაზი გაუსვა შაჰმა, — სავსებით უჭერს მხარს იმას, რომ 1980 წლის ოლიმპიური ასპარეზობა მოსკოვში მოეწყოს.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

## თბილისის სპორტული ცხოვრება

**ძალოსნობა.** ცირკის შენობა. 27 აპრილი. სსრ კავშირის ჩემპიონატი. ქვემძიმე წონა. დასაწყისი 16 ს. მძიმე წონა. 19 ს.

**მხატვრული ტანვარჯიში.** პიონერთა სასახლე. საქართველოს პირად-გუნდური პირველობა. დასაწყისი: 27 აპრილს — 15 ს., 28 აპრილს — 11 ს.

**მძლეოსნობა.** „ლოკომოტივის" სტადიონი. ქალაქის უმაღლესი სასწავლებლების პირად-გუნდური შეჯიბრება. დასაწყისი: 27 და 29 აპრილს — 17 ს., 28 აპრილს — 14 ს. ესტაფეტა. 28 აპრილი. ქალაქის წრე. სტარტი და ფინიში ლენინის მოედანზე. დასაწყისი 10 ს.

**ფეხბურთი.** საქართველოს ჩემპიონატი. 27 აპრილი. „ისნის" სტადიონი. ასკ (თბილისი) — „ამირანი" (ოჩამჩირე). დასაწყისი 12 ს. 28 აპრილი. „ლოკომოტივის" ბაზა დიღომში. „ლოკომოტივი" (თბილისი) — „ეგრისი" (ცხაკაია). 14 ს. „ისნის" სტადიონი. „განთიადი" (თბილისი) — „დინამო" (სოხუმი). 16 ს. მოზარდთა რესპუბლიკური პირველობა. „ლოკომოტივის" ბაზა დიღომში. ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თბილისი) — განათლების განყოფილება (ქუთაისი). 12 ს. ფიზკულტურის ინსტიტუტის სტადიონი. მწვრთნელთა სკოლა (თბილისი) — „დინამო" (ბათუმი). 14 ს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი, „დინამოს" რესპუბლიკური საბჭო, „ლელოს" რედაქცია იუწყებიან, რომ 70 წლის ასაკში გარდაიცვალა სპორტის დამსახურებული ოსტატი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე

**ანდრო დიმიტრის ძე ჟორდანია.**

პანაშვიდი 27, 28, 29 აპრილს, 19 ს. ი. ჭავჭავაძის პრ. № 54. გამოსვენება 30 აპრილს საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის შენობიდან (ი. ჭავჭავაძის პრ. № 49) 17 ს.


საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 02562